აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 3

24/07/2026 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 და მე-20 პუნქტებისა და 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპატარის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, საჩივრის განხილვისათვის მხარის დაბარების დადასტურება მოახდინოს ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 4 ოქტომბრის №9 განკარგულება.

მუხლი 4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	პაატა კეშელავა
კომისიის მდივანი	ტარიელ გოგიტიძე